

## ალექსანდრე (ალე) ომიაძე

საქართველოს სახალხო არტისტი, თეატრისა და კინოს მსახიობი ალექსანდრე (ალე) ომიაძე დაიბადა 1902 წელს ონის რაიონის სოფელ ჭიბრევში. პირველდაწყებითი განათლება ხაშურის რეკინიგზის ორკლასიან სასწავლებელში მიიღო. 1916-1922 წლებში სწავლობდა გიმნაზიაში. 1923 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც არ დაუსრულებია. 1924 წელს სავალდებულო სამხედრო სასწავლებელში გაიწვიეს. დემობილიზაციის შემდეგ დაბრუნდა ხაშურში და ამავე რაიონის რეკინიგზის მუშათა თეატრში მსახიობად ჩაირიცხა, სადაც ექვს სეზონი დაჰყო.

1932-1935 წლებში ქუთაისის თეატრის მსახიობი, ხოლო 1935 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის წამყვან მსახიობად ირიცხებოდა.

ალ. ომიაძის სამსახიობო ხელოვნება კ. მარჯანისვილის სახელობის თეატრში ჩამოყალიბდა. მის მიერ შესრულებული როლები გამოირჩეოდა სამსახიობო ოსტატობით, სისადავითა და გულწრფელობით. მისი რეპერტუარიდან აღსანიშნავია: პეტრე (შ. დადიანის “ჩატეილი ხიდი”), ალიშა (“გ. ბააზოვის “იცკა რიუინაშვილი”), შალვა (ვ. გაბეზეკირიას “მათი ამბავი”), ილია დიასამიძე (უ. ჩხეიძის “გიორგი სააკაძე”), ბაკურ ციხისთავი (ვ. აბაშიძის “მუმლი მუხასა”), სტალინი (ნ. პოგოდინის “კრემლის კურანტები”), გიორგი ლომოური (კ. კალაძის “ლალი”), ლორენცო (უ. შექსპირის “რომეო და კულეტა”), პიკერინგი (ბ. შოუს “პიგმალიონი”), ტარასა ხაზარაძე (კ. ლორთქიფანიძის “კოლხეთის ცისკარი”), ანანია (ა. სუბბათაშვილის “ლალატი”) და სხვა.

ალ. ომიაძე წარმატებით მოღვაწეობდა ქართულ კინოში. იგი პირველად ეკრანზე 1939 წელს გამოჩნდა და ოცზე მეტი როლი შეასრულა, რომელთაგან აღსანისნავია სანდრო (“დაგვიანებული სასიძო”), ზურაბ ერისთავი (“გიორგი სააკაძე”), მეფე ვახტანგ VI (“დავით გურამიშვილი”), გიორგი (“ჭრიჭინა”), გოგი პაპა (“მაგდანას ლურჯა”), პეპია (“გლახის ნაამბობი”), ტარიელი (“ტარიელ გოლუა”) და სხვა.

ალ. ომიაძე სცენასა და ეკრანზე შთამბეჭდავი იყო ეროვნული ხასიათის გამოკვეთისას. ყოველთვის წარმატებული იყო მის მიერ განსახიერებული ქართული გლეხების სახეები.

ალ. ომიაძეს 1943 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის, ხოლო 1958 წელს კი საქართველოს სახალხო არტისტის წოდება. დაჯილდოებულია 1945 წელს მედლით “შრომითი მამაცობისთვის”, 1946 წელს “შრომის წითელი დროშის” ორდენით, 1950 წელს “საპატიო ნიშნის ორდენით”, 1952 წელს საკავშირო მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მიენიჭა “სტალინური პრემიის ლაურეატობა”.

ალ. ომიაძე 1972 წლის 27 ივნისს გარდაიცვალა. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

**ალექსანდრე ომიაძის ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი  
მასალა**

**ავტობიოგრაფია**

1. ალექსანდრე ომიაძის ავტობიოგრაფია.  
1940 წ. 22 სექტემბერი ავტოგრაფი. ნაბეჭდი. მელანი. 2 გვ.
2. ალექსანდრე ომიაძის ავტოგრაფია.  
1946 წ. 29 სექტემბერი. ტფილისი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.
3. ალექსანდრე ომიაძის ავტობიოგრაფია.  
1952 წ. 14 დეკემბერი. თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.
4. ალექსანდრე ომიაძის ავტობიოგრაფია.  
1954 წ. 14 აპრილი. თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.
5. ალექსანდრე ომიაძის ავტობიოგრაფია.  
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 3 გვ.

**კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ანკეტური მონაცემები, საკვალიფიკაციო  
ფურცელი**

6. ალექსანდრე ომიაძის კადრების აღრიცხვისათვის პირადი ფურცელი.  
1940 წ. 22 სექტემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. სტამბური. 4 გვ.
7. ალექსანდრე ომიაძის კადრების აღრიცხვისათვის პირადი ფურცელი.  
1940 წ. 22 სექტემბერი. ტფილისი. ავტოგრაფი. სტამბური. ბეჭედდასმული. მელანი. 4 გვ.
8. ალექსანდრე ომიაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი  
1946 წ. 29 სექტემბერი. ტფილისი. ავტოგრაფი. სტამბული. მელანი. ერთვის ფოტო.  
ბეჭედდასმული 4 გვ.
9. ალექსანდრე ომიაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.  
1950 წ. 18 მარტი. თბილისი. სტამბური. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.
10. ალექსანდრე ომიაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.  
1952 წ. 14 დეკემბერი. თბილისი. ავტოგრაფი. სტამბური. ბეჭედდასმული. მელანი. 4 გვ.
11. ალექსანდრე ომიაძის ანკეტური მონაცემები  
1955 წ. 15 აპრილი. თბილისი. სტამბური. ავტოგრაფი. სელს აწერს: ივ. გვინჩიძე.  
მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
12. ალექსანდრე ომიაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.

1957 წ. 14 აპრილი. თბილისი. ავტოგრაფი. სტამბური. მელანი. 4 გვ.

13. ალექსანდრე ომიაძის ანკეტური მონაცემები.  
უთარილო. თბილისი. სტამბური. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

14. ალექსანდრე ომიაძის საკვალიფიკაციო ფურცელი.  
უთარილო. ავტოგრაფი. სტამბური. მელანი. 3 გვ.

### დახასიათებები

15. კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექციის მიერ  
გაცემული ალექსანდრე ომიაძის დახასიათება.

1952 წ. 14 დეკემბერი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს - ივ. გვინჩიძე.  
ბეჭედდასმული. 1 გვ.

16. კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექციის მიერ  
გაცემული ალექსანდრე ომიაძის დახასიათება.

1954 წ. მაისი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ივანე გვინჩიძე, ვახტანგ  
ტაბლიაშვილი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

17. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ გაცემული ალექსანდრე ომიაძის  
დახასიათება.

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

### ბრძანება

18. კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მიერ გაცემული ბრძანება (ამონაწერი)  
ალექსანდრე ომიაძის მიერ რეპეტიციაზე 5 წუთის დაგვიანებასტან დაკავშირებით.  
1940 წ. 23 ნოემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

### შესრულებული როლების სია

19. ალექსანდრე ომიაძის მიერ შესრულებული თეატრალური როლების სია.  
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენაზე. 3 გვ.

### ნეპოლოგი

20. ალექსანდრე ომიაძის ნეპოლოგი.  
1972 წ. 27 ივლისი. ნაბეჭდი. 2 გვ.

